



საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

„ონლაინ სესხების“ ბაზრის მიმოხილვა



www.sab.ge

ონლაინ სესხების ბაზრის მიმოხილვა

დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის სესხებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის ფონზე, ბოლო 2 წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების რაოდენობა. აღნიშნული საფინანსო სექტორი არარეგულირებადია და კომპანიებზე, ისევე როგორც მათ მომხმარებლებზე არსებული მონაცემები საჯაროდ არ ქვეყნდება, შესაბამისად არ გვაქვს დეტალური მონაცემები სექტორის ანალიზისათვის. ჩვენი ინფორმაციით, ონლაინ სესხების ორგანიზაციების სასესხო პორტფელმა ნახევარ მილიარდ ლარს გადააჭარბა. ორგანიზაცია „კრედიტინფოს“ მონაცემებით, 4 მილიონი ჩანაწერია აღნიშნულ სესხებთან დაკავშირებით, საიდანაც 300 000-დან 400 000-მდე (საერთო რაოდენობის 7%-დან 10%-მდე) არის ვადაგადაცილებული.

საქართველოს ბაზარზე შემოსული ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების მომხმარებლების ძირითად ნაწილს საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობა წარმოადგენს, რომელთა გადახდისუნარიანობა არის დაბალი. შესაბამისად ონლაინ სესხების კომპანიები ცდილობენ მაღალი საპროცენტო განაკვეთით აინაზღაურონ გადახდისუნარო მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან მიღებული დანაკლისი. ეს კი მსესხებლებისათვის საპროცენტო ხარჯის გაძვირებას იწვევს.

ონლაინ სესხის ძირითადი დანიშნულება არის მომხმარებლის ლიკვიდობის დაფინანსება მოკლევადიან პერიოდში. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი სესხს 1 თვემდე ვადაში დაფარავს, დარიცხული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 5%-დან 15%-მდე თვეში (დამოკიდებულია გამსესხებელზე). ვინაიდან სესხები გაიცემა სეგმენტზე, რომელსაც აქვს ვადაგადაცილების მაღალი მაჩვენებელი, მომხმარებლებს ერიცხებათ დამატებით ჯარიმები და საურავები, რომელთა საპროცენტო განაკვეთი გაცილებით მაღალია ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე. იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც ვერ ფარავენ წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებას მოკლევადიან პერიოდში და უწევთ ვადის გახანგრძლივება, სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იზრდება და ზოგიერთ შემთხვევაში 700%-საც აღწევს. მსესხებლების მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტი რომ ძირითად შემთხვევებში არ ხდება აღნიშნული სესხების რესტრუქტურირება, გადანაწილება ან სხვა სახის შეღავათის დაწესება, რაც საბოლოო ჯამში მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე უარყოფითად აისახება.

აღნიშნული ორგანიზაციების მაღალი ზრდის ტემპები და მათი მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის დაბალი დონე ზრდის ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების მიმართ არსებულ უარყოფითი დამოკიდებულებას საზოგადოებაში. ვინაიდან ამ ეტაპზე მათ მიერ გაცემული სესხების წილი, მთლიან გაცემულ სესხებთან დაბალია, მიუხედავად მაღალი ვადაგადაცილების მაჩვენებლისა ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ ექმნება, შედეგად დაურეგულირებელი სექტორი უფრო სოციალური პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე ეკონომიკურს.

იმისათვის, რომ სრულფასოვნად შევაფასოთ ამ სეგმენტის რეგულაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ საერთაშორისო გამოცდილება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ 9 შტატში არსებობს მსგავსი ორგანიზაციები, ხოლო 14-ში საერთოდ აკრძალულია. აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით (Dodd-Frank Wall Street Reform and Consumer



Protection Act) თითოეულ ასეთ ორგანიზაციას ოპერირებისთვის სჭირდება ლიცენზირება სახელმწიფო მმართველობითი ორგანოს მიერ. მაგალითად არიზონას შტატში დაწესებულია მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შეადგენს 36%-ს. გარდა ამისა, თუ დადგინდა მსესხებლის არაკრედიტუნარიანობა, კანონმდებლობის მიხედვით მსესხებელს ავტომატურად ეძლევა 130 დღიანი დაფარვის გრაფიკი ყოველგვარი პროცენტისა და ჯარიმის დარიცხვის გარეშე. ასეთი გრაფიკის შედგენის შემდეგ კრედიტორს ეკრძალება შემდეგი სახის ქმედებები:

- მსესხებელთან დაკავშირება საღამოს 8 საათის შემდეგ
- საუბრის დროს არანორმატიული ლექსიკის და მცდარი ინფორმაციის გამოყენება
- მუქარა სასამართლოში ჩივილით, თუ ამის გაკეთება ნამდვილად გადანყვეტილი არ აქვს.

ბრიტანული კანონმდებლობის მიხედვით ონლაინ ტიპის სესხებზე დადგენილია ლიმიტი საპროცენტო განაკვეთებზე. ლიმიტის მიხედვით ყოველდღიური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს სესხის ძირის 0.8%-ს. ასევე ონლაინ სესხების ორგანიზაციებს ეკრძალებათ სესხის გადავადება ორ ჯერზე მეტად.

არსებობს რეგულაციების ნეგატიური გამოცდილებაც. ჩეხეთის რესპუბლიკაში შემოღებულმა რეგულაციებმა განაპირობა ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშის ბაზრიდან გასვლა, რადგან ასეთი რეგულაციის პირობებში ოპერირებას აზრი დაეკარგა.

დასკვნა

საფინანსო სისტემის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა. ონლაინ სესხები უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის ფინანსურ რესურსებზე მარტივ და სწრაფ ხელმისაწვდომობას. ონლაინ სესხების ორგანიზაციების მიერ გაცემული კრედიტების წილი მთლიან გაცემულ სესხებთან შედარებით დაბალია. ასევე აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ დეპოზიტებს, შედეგად ფინანსურ სტაბილურობას არ ექმნება საფრთხე.

ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების საქმიანობის უარყოფითი შედეგების ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ მომხმარებლების რაოდენობის სწრაფი ზრდა და ვადაგადაცილების მაღალი მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იზრდება უარყოფითი საკრედიტო ისტორიის მქონე დაბალ და საშუალო შემოსავლიანი ადამიანების რაოდენობა. ეს მომავალში უარყოფითად აისახება, როგორც მათი შრომით ბაზარზე მონაწილეობაზე, ასევე შესაძლო ბიზნესსაქმიანობაზე, ვინაიდან შეუზღუდავს ფინანსურ რესურსებზე წვდომას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინ კრედიტების გამცემი ორგანიზაციები დაკავშირებული არიან კრედიტ ინფოს ბაზასთან, შესაბამისად დავალიანების შესახებ ინფორმაციას სხვა ფინანსური ინსტიტუტებიც (ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) ხედავენ. ამან კი, მომხმარებელს შეიძლება პრობლემა შეუქმნას სესხის აღების დროს.

„საზოგადოება და ბანკების“ აზრით, გრძელვადიან პერიოდში ფინანსური განათლების დონის ამაღლება და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს ბაზარზე კონკურენციის ზრდას და შეამცირებს მომხმარებლების მიერ რესურსების არაეფექტურად გამოყენებით მიღებულ დანახარჯებს. თუმცა, როდესაც ქვეყანაში ფინანსური განათლების დონე დაბალია და მოკლევადიან პერიოდში მისი ამაღლება რთულია, საჭიროა გარკვეული რეგულაციების შემოღება. რეგულაციებმა არ უნდა შეაჩეროს ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების ბიზნესსაქმიანობა, მაგრამ უნდა იყოს გათვალისწინებული მომხმარებელთა უფლებები. ამ ბიზნეს-საქმიანობის უკეთ წარმართვისთვის და



მომხმარებლის ინტერესის უფრო მეტად გათვალისწინებისთვის „საზოგადოება და ბანკებმა“ რამდენიმე რეკომენდაცია შეიმუშავა:

- კომპანიებმა მსესხებლის გადახდისუნარიანობა და საკრედიტო ისტორია აუცილებლად უნდა გადაამოწმონ
- ერთ პიროვნებაზე გაცემული პარალელური სესხები უნდა შეიზღუდოს შემოსავლის გათვალისწინებით
- ეფექტური საპროცენტო განაკვეთი აუცილებლად უნდა იყოს დასახელებული სესხის შეთავაზებისას
- სესხის რამდენჯერმე გადავადება უნდა შეიზღუდოს
- ორგანიზაციების ფინანსური მაჩვენებლები უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი
- დანესდეს ასაკობრივი შეზღუდვა (22 წლამდე)
- გაუმჯობესდეს სესხის რესტრუქტურის პირობები



